საქართველოს
მელიორაცია
GEORGIAN
AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-2907
08/08/2023

2907-გ-2-202308081001

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს

დიმიტრი ზურაბიშვილს

ბატონო დიმიტრი,

განვიხილეთ, შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსული 26.07.2023 წლის მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის N 34-3423207183 წერილი, რომელიც ეხება მოქალაქე როლანდ რაზმაძის 19/3423202134-34 განცხადებას, სადაც მოთხოვნილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნატახტარში მდებარე მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1883 კვ.მ (ს/კ 72.03.26.370) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1315 კვ.მ-ის მიწის (უძრავი ქონების) გამიჯვნა, შემდგომ პრივატიზების მიზნით.

გაცნობებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნატახტარში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.26.370) გადის შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის გ-11 გამანაწილებელი (ს/კ 72.00.630), რომლის გასხვისების ზოლი „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების სააშენებლო ნორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წ. N 19 ბრძანების შესაბამისად შეადგენს არხის ბერმიდან ორივე მხარეს 4-4 მეტრს რაც საკადასტრო გეგმით დარღვეულია.

შემდგომში ხსენებული მიწის ნაკვეთზე რაიმე სახის მშენებლობის ან მიწის განკარგვის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას გასხვისების ზოლების დაცულობა. ასევე დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013წ. N409 და N440 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემების გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას.

ყოველივე ზემოხსებულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს საკადასტრო გეგმის დაკორექტირება გასხვისების ზოლების გათვალისწინებით

ან/და აღნიშნული შეზღუდვა ასახული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“(დატვირთულ იქნას სერვიტუტით).

დანართი - სიტუაციური ნახაზი

პატივისცემით,

თამაზ მღებრიშვილი

გენერალური დირექტორი

ელექტრონული ხელმოწერა/ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED